შეთანხმება N1

შუახევის მუნიციპალიტეტსა და შპს ,,მარეთი 777“-ს შორის 2015 წლის 7 აგვისტოს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N 218 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

დაბა შუახევი 02 ოქტომბერი 2015 წელი

2015 წლის 7 აგვისტოს ერთის მხრივ, ,,შემსყიდველ“ შუახევის მუნიციპალიტსა და მეორეს მხრივ ,,მიმწოდებელ“ შპს ,,მარეთი777“-ს შორის დაიდო სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N 218 შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ გორში სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოების შესყიდვაზე.

შუახევის მუნიციპალიტეტის 2015 წლის „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ სოფელ გორში გათვალისწინებული იყო სანიაღვრე არხის მოწყობა, რაზეც შედგენილი იყო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. 2015 წლის 07 აგვისტოს შპს „მარეთი 777“-თან გაფორმდა ხელშეკრულება #218.

სამუშაოების მიმდინარეობისას ნიადაგის შემადგენლობა აღმოჩნდა კლდოვანი გრუნტის, რის გამოც შეუძლებელი გახდა სამუშაოს შესრულება. სოფლის მოსახლეობის 31 აგვისტოს N989/07 წერილით და გამგებლის წარმომადგენლის ოლადაურის ადმინისტრაციულ ერთეულში 30 აგვისტოს N1099/07 წერილით მოითხოვეს „სანიაღვრე არხის მოწყობის“ ღონისძიება შეცვლილიყო „გზაზე რკინაბეტონის საფარის მოწყობით“, რის საფუძველზეც 2015 წლის 09 სექტემბერს შეთანხმების წერილი გაიგზავნა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში, საიდანა 2015 წლის 16 სექტემბერს მოვიდა დადებითი პასუხი, რის შემდეგაც შუამდგომლობის წერილი გაიგზავნა შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოში სადაც დამტკიცდა ცვლილება შუახევის მუნიციპალიტეტის 2015 წლის „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ გათვალისწინებულ ღონისძიებებში. იმავე პერიოდში საპროექტო ორგანიზაციის მიერ პროექტში შეტანილი იქნა შესაბამისი ცვლილება.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები უნდა დასრულებულიყო 2015 წლის 10 სექტემბრამდე. ვინაიდან აღნიშნული პროექტის დასრულება ვერ მოხერხდა მითითებულ ვადაში (2015 წლის 16 სექტემბერს მოვიდა დადებითი პასუხი საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროდან) შპს „მარეთი 777“-ს არ უნდა დაეკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების დარღვევისთვის და ცალმხრივად უნდა გაგრძელდეს სამუშაოების შესრულების და ხელშეკრულების მოქმედების ვადები.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ერთის მხრივ, შუახევის მუნიციპალიტეტი (შემდგომში - შემსყიდველი), და მეორეს მხრივ **შპს ,,მარეთი 777“** (შემდგომში - მიმწოდებელი) , მოქმედი კანონმდებლობისა და **მხარეებს** **შორის** 2015 წლის 07 აგვისტოს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N 218 ხელშეკრულების მე-10- მუხლის საფუძველზე შეთანხმდით შემდეგზე:

1. შევიდეს ცვლილება შუახევის მუნიციპალიტეტისა და **შპს „მარეთი 777“**-ს შორის 2015 წლის 07 აგვისტოს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 218 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ხარჯთაღრიცხვაში და სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკში და დაერთოს ხელშეკრულებას ახალი კორექტირებული დანართების სახით.
2. მე-4 მუხლის 4.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

4.1 შესყიდვის ობიექტი: **სოფელ გორში გზაზე რკინა ბეტონის საფარის მოწყობა**

3. მე-5 მუხლის 5.1 და 5.2 პუნქტები ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით

5.1 სამუშაოების დასრულების ვადა-**2015 წლის 15 ოქტომბრამდე**

5.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვროს **2015 წლის 15 ნოემბრამდე.**

4. ხელშეკრულების დანაჩენი მუხლები უცვლელია და მხარეები ადასტურებენ მათ მიმართ თავიანთ ვალდებულებებს, ისევე როგორც მთლიანი ხელშეკრულების მიმართ
5. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლიარად და წარმოადგენს მხარეთა შორის 2015 წლის 07 აგვისტოს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N 218 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
6. წინამდებარე მხარეთა შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე.

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
შუახევის მუნიციპალიტეტის გამგებელი	შპს ,,მარეთი 777 “-ის დირექტორი
[illegible]	უშანგი ფუტკარაძე

სოფელ გორში გზაზე რკინა-ბეტონის საფარის მოწყობის
სამუსაოების გეგმა გრაფიკი

N	სამუსაოს დასახელება	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი
1	საფუძვლის მოწყობა 5 სმ სისქის ღორღით, ფრაქცია 5-10მმ სისქით			
2	სავალ ნაწილებზე ბეტონის საფუძვლის მოწყობა სისქით 15 სმ, 63.2 გრძ.მ			
3	ბეტონის არმირება			

შპს მარეთი-777 ის დირექტორი: უშანგი ფუტკარაძე

სოფელ გორში გზაზე რკინა ბეტონის საგფარის მოწყობა

ლოკალური ხარჯთაღრიცხვა

N	სამუსაოს დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ჯამი
1	საფუძვლის მოწყობა 5 სმ სისქის ღორღით, ფრაქცია 5-10მმ სისქით	მ3	7.8	35	273.00
2	სავალ ნაწილებზე ბეტონის საფუძვლის მოწყობა სისქით 15 სმ, 63.2 გრძ.მ	მ3	23.70	183.0705	4338.77
3	ბეტონის არმირება	ტ	0.35	1600	560.00
	ჯამი	ლარი			5171.77
	ზედნადები ხარჯები - 10%	ლარი			517
	ჯამი	ლარი			5688.95
	მოგება - 8%	ლარი			455.12
	ჯამი	ლარი			6144.06
	დღგ 18 %				1105.93
	ჯამი				7250.00

შპს "მარეთი 777"-ის დირექტორ[illegible]ფანგი ფუტკარაზე